ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ ჯუმბერ ბერძენიშვილს

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერის მინდია ჟღერიას

განმარტებითი ბარათი

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციიდან მიღებული სამართლებრივი კონსულტაციის გათვალისწინებით, მუნიციპალიტეტის მერიამ შეიმუშავა დადგენილების პროექტი ,,დასუფთავების მოსაკრებლის განაკვეთებისა და მისი გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ" მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე". წარმოდგენილი დადგენილების პროექტი ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მოქმედ დადგენილებაში ცვლილების შეტანას, რომელიც ეხება სოციალური შემწეობის მიმღები პირებისთვის დასუფთავების მოსაკრებლისგან გათავისუფლების პირობების განსაზღვრას. კერძოდ, სოციალური შემწეობის მიმღები ოჯახებისთვის დასუფთავების მოსაკრებელზე მოქმედი შეღავათის პირობების დაზუსტებას, სარეიტინგო ქულის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. აღნიშნული ცვლილებები მიზნად ისახავს სოციალური მხარდაჭერის გაძლიერებას, სოციალურად დაუცველი მოქალაქეების ინტერესების დაცვას და მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტის შესაბამისობაში მოყვანას მოქმედ კანონმდებლობასთან.

პროექტის ავტორი და საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელია ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის გარემოს დაცვისა და სოფლის მეურწეობის განვითარების განყოფილების უფროსი ლელა მდინარაძე.

მუნიციპალიტეტის მერი: მინდია ჟღერია

დასკვნა

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასუფთავების მოსაკრებლის განაკვეთებისა და მისი გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 16 ივლისის N8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

დადგენილების პროექტი შესაბამისობაშია:

1. საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 54-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ბ.ბ“ ქვეპუნქტთან, რომლის თანახმადაც, მუნიციპალიტეის მერი შეიმუშავებს და საკრებულოს მისაღებად წარუდგენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტებს.
2. ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტთან, რომლის თანახმადაც ნორმატიულ აქტში ცვლილების ან/და დამატების შეტანა ხსება იმავე სახის ნორმატიული აქტით. იგი იმ ნორმატიული აქტის განუყოფელი ნაწილია, რომელშიც შეტანილი იქნა ცვლილება.

იურიდიული განყოფილების უფროსი: ბექა შენგელია